

#10, დეკემბერი, 2007

იურიდიული დახმარების

კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- **ონლაინ კონსულტაცია**

თბილისი 0171


26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare



სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი
ვილოცავთ შობა-ახალ წელს

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი ამუშავებს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოში 3 დეკემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით კვირეული გაიმართა. კვირეული პროექტის – „თანაბარი პირობების განვითარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის“ – ფარგლებში ჩატარდა, რომელსაც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ფედერაცია Save the Children, World Vision და კოალიცია – „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ახორციელებენ.

პროექტის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

(გაგრძელება მე-2 გვ.)

(გაგრძელება)

პირობების გაუმჯობესება და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა. 7 დეკემბერს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის პრეზენტაციები გაიმართა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე, აშშ-ს ელჩი ჯონ ტეფტი, საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გივი წერეთელი, სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ანდრეა იეტისი, შესაბამისი სამინისტროების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია ეფუძნება

ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები“. შეხვედრის გახსნისას საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უნდა იყვნენ ინტეგრირებულნი. „საქართველოს ხელისუფლება მეგობარ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან ერთად ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საზოგადოებაში ღირსეული ადგილი ჰქონდეთ“ – აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ. საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა პრეზენტაციაზე მადლობა გადაუხადა ამერიკელ მეგობრებს იმ დიდი ყურადღებისთვის, რომელსაც ისინი საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისა და შესაბამისი პროგრამების მიმართ იჩენენ.



იმ საერთაშორისო აქტებსა და დოკუმენტებს, რომლებსაც საქართველო მიუერთდა დასან რომელიც დღეს საერთაშორისო სამართლის განუყოფელი ნაწილია. ციტატა კონცეფციიდან – „დოკუმენტი აყალიბებს ერთიან მიდგომას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის მიმართ, აანალიზებს არსებულ პრობლემებს და სახავს სახელმწიფოს უმთავრეს პრიორიტეტებს ინვალიდობის სფეროში. მოცემული კონცეპტუალური ჩარჩო დოკუმენტი აყალიბებს სახელმძღვანელო პრინციპებს და სამოქმედო ამოცანებს, რომლებსაც დაეფუძნება სახელმწიფო სტრატეგია და მის

პრეზენტაციაზე ასევე წარმოადგინეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია. იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი ყველაზე სრული დოკუმენტია და ამჟამად კონვენციას ხელი მოაწერა 118 ქვეყანამ, 7 ქვეყანაში მოხდა მისი რატიფიცირება. პრეზენტაციის დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და ქართული ესტრადის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

სოციალური თერაპიის სახლში ბენეფიციარების შექმნილი ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო

სოციალური თერაპიის სახლი წელიწადში ორჯერ – საშობაოდ და სააღდგომოდ მართავს იმ ნივთების

საჩუქრებს დაამზადებენ და ახალ გამოფენა-გაყიდვას მოაწყობენ.



გამოფენა-გაყიდვას, რომლებსაც ბენეფიციარები ამზადებენ. თექის ყელსაბამები, ცვილის სანთლები, ბლოკნოტები და უამრავალი ლამაზი ნივთი სოციალური თერაპიის სახლთან არსებულ სახელოსნოებში მზადდება.

„სახლი“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზრდილებს ემსახურება და სოციალური-თერაპიის სახელოსნოებში ამ ულამაზეს ნივთებს სწორედ ისინი ქმნიან – მუშაობენ სახელოსნოებში, სადაც შრომის პროცესი ისეა აწყობილი, რომ თითოეული სრულფასოვან მონაწილეობას იღებს.



7 დეკემბერს სოციალური-თერაპიის სახლის ბენეფიციარების შექმნილი ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. გაყიდვიდან შემოსული თანხით ისევ იმ მასალებს შეიძენენ, რომლითაც სააღდგომო

თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, [სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების](http://www.civilin.org) გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ

„პროექტის შედეგების ჩარჩოები“

5-7 დეკემბერს, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, გაიმართა ტრენინგები თემაზე – „პროექტის შედეგების ჩარჩოები“.



ტრენინგები მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები გაცნობოდნენ პროექტის დაგეგმვის – LF/RF მოდელების მიხედვით საპროექტო განაცხადის მომზადებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მათ მომავალ საქმიანობას.



ტრენინგებში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების – ასოციაცია „მშობელთა ხიდის“, GCRT-ის, კავშირი „საფარის“, კავშირი „თემის“, აფხაზეთის უსინათლოთა კავშირი „ჰერას“, SOS ბავშვთა სოფლის, ასოციაცია „გეას“, კავშირი „იას“, ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეას“, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის, საქართველოს ინვალიდთა საერთაშორისო ასოციაციის, ცენტრ „თანადგომას“, კოალიცია – დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ფონდ „პირველი ნაბიჯის“ წარმომადგენლები.

ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ პროექტის წერისა და დიზაინის ძირითად პრინციპებს და განმასხვავებელ ნიშნებს, დაეუფლენ ინფორმაციის ანალიზის მეთოდს – „პრობლემების ხეს“, გაეცნენ ინდიკატორების ცნებასა და მახასიათებლებს, ინდიკატორების ჩამოყალიბებასა და შესაბამისი



გადამოწმების წყაროებს, გაეცნენ პროექტის წარმატებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორებს – EU და US გაიდლაინებს. გარდა თეორიული კურსისა, მათ გაიარეს პრაქტიკული სავარჯიშოები. ტრენინგის მონაწილეებს დაურიგდა ნაბეჭდი, დამხმარე მასალა – „პროექტის დაგეგმვის მოდელები, პროექტის წერა“.

სიახლე

სახალხო დამცველის აპარატში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი ამუშავდება

3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს, სახალხო დამცველმა პრესკონფერენცია გამართა. სოზარ სუბარის თქმით, 2008 წლის იანვრიდან სახალხო დამცველის აპარატში ამუშავდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი.

ცვლილებები საშემოსავლო გადასახადის განაკვეთში

2007 წლის 11 ივლისს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, 2008 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო და სოციალური გადასახადები ერთიანდება, შესაბამისად შემოდის ერთიანი საშემოსავლო გადასახადი, რომლის განაკვეთია 25%. 2007 წლის დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის 23-ე ნაწილში. გარდამავალი ეტაპისთვის, 2008 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო პერიოდში, ფიზიკური პირის ქვემოთჩამოთვლილ დასაბეგრ შემოსავლებზე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენს 12 პროცენტს, კერძოდ 12%-იანი განაკვეთით დაიბეგრება:

- ა) გრანტით მიღებული სახსრებიდან გრანტის მიმღები ორგანიზაციის მიერ გაცემული ანაზღაურება.
- ბ) საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული ანაზღაურება.
- გ) საერთაშორისო ხელშეკრულებით სოციალური გადასახადისგან გათავისუფლებული ანაზღაურება.
- დ) სასამართლო გადაწყვეტილებით სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული პირებისათვის გადახდილი თანხები.
- ე) შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვის შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ანაზღაურება.
- ვ) სხვა ანაზღაურება, რომელიც 2007 წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი კანონმდებლობით არ იბეგრება სოციალური გადასახადით.

ცვლილებების შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადის 25 %-იანი განაკვეთი (ზემოაღნიშნული შემთხვევების გარდა) იმოქმედებს 2008 წლის 1 იანვრიდან შემდგომ საგადასახადო პერიოდზე, ამასთან აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 1 იანვრამდე დარიცხულ და გაუცემელ ხელფასებზე იმოქმედებს საშემოსავლო გადასახადის 12%-იანი განაკვეთი.

დამატებითი ინფორმაცია
<http://www.civilin.org/welfare>

www.civilin.org/welfare

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში მუშაობს პროექტის ვებ-გვერდი, სადაც იხილავთ ინფორმაციას პროექტის ცალკეული კომპონენტების განვითარების შესახებ. ვებ-გვერდი ინფორმაციას აწვდის პროექტის ძირითად ბენეფიციარებს – სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს – ქვეყანაში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შესახებ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის არსებული პრეცედენტების შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის კუთხით. ვებ-გვერდზე განთავსებულია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დირექტორია, სადაც ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფაილები განთავსდება. თუ რომელიმე ორგანიზაცია



ვერ მოხვდა მონაცემთა ბაზაში, მას შესაძლებლობა ეძლევა დაამატოს ინფორმაცია. ვებ-გვერდზე განთავსებულია კანონები და საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე. ორგანიზაციებს ეძლევათ ონლაინ იურიდიული დახმარების/კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა. ვებ-გვერდზე ასევე განთავსდება ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომლებსაც აწარმოებენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასევე, მათი პუბლიკაციები, კვლევები

პრესის მონიტორინგი




სოციალურ სფეროზე

ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს. ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“ („ბასტა“, „მთელი კვირა“), „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“ („კვირიდან კვირამდე“), „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

პრესის აქტივობა

ნოემბერში პრესაში გამოქვეყნდა 10 პუბლიკაცია, ინფორმაცია.



- ახალი თაობა
- ალია
- კვირის პალიტრა
- რეზონანსი
- 24 საათი


თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან 3 ქველმოქმედებას/საქველმოქმედო აქციას მიეძღვნა, გამოქვეყნდა ერთი კონკრეტული ისტორია, ერთი წერილი ორგანიზაციის საქმიანობას ეხებოდა,

რომელშიც ასევე აღწერილია ბენეფიციართა (ხანდაზმულთა) ცხოვრება, სხვადასხვა პროგრამის შესახებ 3 პუბლიკაცია გამოქვეყნდა, აქედან ორი ეხებოდა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, ერთი კი სოცმუშაკების შერჩევას. საცნობარო/საგანმანათლებლო 2 პუბლიკაცია დაიბეჭდა.

ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები



- მზრუნველობამოკლებული
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
- უნარშეზღუდული
- ინვალიდი
- ხანდაზმული
- მოხუცი